საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, ბუხაიძის ქ №31



ხედი აღმოსავლეთიდან, 2015წ.



ხედი აღმოსავლეთიდან, 2015წ.

შემსრულებელი:


გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
ოქტომბერი
2015

1. მდებარეობა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისის ისტორიულ უბან **ჩუღურეთში, ბუხაიძის ქ. №31 (ძველი თბილისის რაიონი).** ეს მონაკვეთი **უბნის ზედა ნაწილშია,** რკინიგზის ხაზის ქვემოთ არსებულ ფერდობზე. აქ ერთმანეთს უერთდება ბუხაიძისა და მცირე შესახვევები.

საკვლევ ტერიტორია წარმოადგენს მოსწორებულ ფერდობს რომელზეც იდგა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ამ სახლის ადგილზე განსაზღვრულია ახალი ნაგებობის დაპროექტება (ამაჟამად სახლი უკვე აღებულია).



რუკა შედგენილია თბილისის საძრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

საპროექტო ტერიტორია

ამ უბანში არქიტექტურული ძეგლები აღრიცხულია ქვემოთ, მ. თოიძის ქუჩაზე, რომლებიც არ განიხილება ობიექტთან ერთიან ვიზუალურ კონტექსტში.




ჩუღურეთი, ხედი მთაწმინდიდან, 2014წ.



საპროექტო ტერიტორია, ჩუღურეთი, ხედი მთაწმინდიდან, 2014წ

2. განაშენიანების განვითარების ისტორია

ჩვენთვის საინტერესო მიკრო უბნის განაშენიანება ჩამოყალიბდა მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფ. ჩუღურეთის ზედა ნაწილში. სოფ. ჩუღურეთი პირველად გამოსახულია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შესრულებულ თბილისის გეგმაზე – 1735წ. XIX-XX სს-ის დასაწყისის თბილისის გეგმებზე კარგად ჩანს სოფ. ჩუღურეთის ურბანიზაციის პროცესი.



თბილისის გეგმა 1735წ.




თბილისის გეგმა 1867წ.


ადმინისტრაციულად ჩუღურეთი თბილისს მხოლოდ XIX ს-ში შეუერთდა მაგრამ შემდეგ კარგა ხანს ეს ადგილები მაინც გარეუბნად მოიხსენიებოდა. XIX ს-ის მეორე ნახევრამდე თბილისის იმდროინდელ გეგმებზე გალავნით შემოზღუდული ქ ი დ ა ავლაბრის ქსელი მოწესრიგებული ჩანს, გ ა რ ე თ ავლაბრის და ჩუღურეთის ქუჩების ქსელი ჩამოუყალიბებელი და ამორფულია.



თბილისის გეგმა 1902წ.



თბილისის გეგმა 1924წ.



ჩუღურეთის ხედი, გორსკის ფოტო 1910წ.

XIX საუკუნის თბილისის გეგმებზე ნათლად ჩანს თუ როგორ ყალიბდებოდა ამ დაფერდებული უბნის ქუჩები. განაშენიანება განვითარდა სოფ. ჩუღურეთის არსებულ სტრუქტურაზე. XIX ს-ის მეორე ნახევარში სანაპიროსკენ დაიკვალა სამი პარალელური ქუჩა, რომლებსაც რამდენიმე პერპენდიკულარული აღმართი კვეთდა. უბნის ზედა ნაწილში კი რთული რელიეფის გამო, რელიეფს მორგებული ვიწრო გასასვლელები წარმოიქმნა. ეს გარემოება ასახულია 1910 წ. საარქივო ფოტოზე. ამ ფოტოზე ჩანს, რომ ფერდობზე მდებარე საპროექტო ტერიტორია ჯერ კიდევ ნაკლებად დასახლებულია და მიმდებარე განაშენიანება ურბანულად მოუწესრიგებელი. განაშენიანება დღესაც ასეთია.

ამგვარად სოფ. ჩუღურეთის ქვედა ნაწილში შეიქმნა მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული ურთიერთპერპენდიკულარული ქუჩების ქსელი, მათ შორის მოქცეული მართკუთხა საცხოვრებელი კვარტალებით, ხოლო უბნის ზედა ნაწილში შეიქმნა გეოგრაფიულ რელიეფს მორგებული, საკარმიდამო განაშენიანების ტიპის ამორფული კვარტალები. უბნის ზედა მხარეს კი საზღვრავდა რკინიგზის ხაზი.


უბნის ქვედა ქუჩებზე აგებული იყო ორ-სამ სართულიანი საცხოვრებელი სახლები. ზედა ნაწილში კი ნაგებობები ძირითადად ერთ-ორსართულიანია. თუმცა, აქაც რამდენიმე ადგილას გვხვდება სამ-ოთხსართულიანი სახლებიც.


XXს-ის მეორე ნახევარში სანაპიროსთან შენდება რამდენიმე რვასართულიანი სახლი. უბნის დანარჩენი ნაწილი კი ხელუხლებელია. ამავე დროს ნაგებობათა დიდი ნაწილი დაზიანებულია და ზოგი მონაკვეთი დეგრადირებული.

3. განაშენიანება საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ




განაშენიანება საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ, 2014წ.





განაშენიანება საპროექტო ტერიტორიის ძვემოთ, 2015

უბნის ეს ნაწილი უშუალოდ რკინიგზის წინაა. აქ ბუხაიძის ქუჩა გრძივად მიემართება და შემდეგ ასახვევია ზევით, რკინიგზისკენ. საპროექტო ტერიტორიის უკან, რომლის დიდი ნაწილი გამწვანებულ ეზოს წარმოადგენს, ვიწრო გასახვევია და ტერიტორია ერთგვარ კუნძულად წარმოჩინდება. ამ გასასვლელის ზემოთ რკინიგზის ხაზია.. ბუხაიძის ქუჩის მოპირდაპირე მხარეს კი, საცხოვრებელი სახლების ერთ-ორსართულიანი განაშენიანებაა თავისუფალი მოხაზულობის შიდა ეზოების სტრუქტურით. მათ შორის გამოირჩევა მოზრდილი, ფონური ღირებულების სამსართულიანი სახლი № 38. საინტერესო სტრუქტურა აქვს №36 ორსართულიან საცხოვრებელ სახლს. დანარჩენი ნაგებობები დაბალი ღირებულებისაა. შენობები მოძველებულია და დაზიანებული.



აეროფოტო, 2014წ






განაშენიანება საპროექტო ტერიტორიის მარცხნივ, 2015

მსგავსია განაშენიანება საპროექტო ტერიტორიის მარცხნივ, ბუხაიძის ქუჩის კენტრიცხვიან მხარეს. სახლები აქაც ფერდობზეა განლაგებული. ფერდობის ძირი, ზოგ ადგილას საყრდენი კედლებით არის შემაგრებული. აქ რთული რელიეფის გამო სართულიანობა განსხვავებულია ქუჩისკენ და შემაღლებულ რელიეფზე. აგურის შეულესავი წყობის საინტერესი ფასადი აქვს ფონური ღირებულების ორსართულიან სახლს №27. ამ სახლის მარჯვნივ მოუწესრიგებელია რელიეფი. შენობები მოძველებულია და დაზიანებული. მთლიანობაში განაშენიანებას დეგრადირებული სახე აქვს.

4. ნაგებობა საპროექტო ტერიტორიაზე



ეს ნაგებობა უკვე აღარ არსებობს. აღებულია 2015 წლის აგვისტო-სექტემბერში. მისი აღწერა შესაძლებელია მხოლოდ შემორჩენილი ფოტოთი. იგი წარმოადგენდა ორსართულიან საცხოვრებელ სახლს, ოთხქანობიანი თუნუქის გადახურვით. ჰქონდა მართკუთხა სარკმლები დასავლეთ ფასადზე და კიდული აივანი, მეორე სართულის ფლანგზე. უკანა გასასვლელის მხრიდან სახლის ფასადი ყრუ უნდა ყოფილიყო.

საპროექტო სახლი №31, 2014წ



საპროექტო ტერიტორია ბუხაიძის ქუჩიდან, სამხრეთიდან, დანგრევის შემდეგ, 2015წ.



საპროექტო ტერიტორია ბუხაიძის ქუჩიდან, სამხრეთიდან, დანგრევამდე, 2015წ.



საპროექტო ტერიტორია ბუხაიძის ქუჩიდან, დასავლეთიდან, 2015წ.



საპროექტო ტერიტორია რკინიგზის გასასვლელიდან, აღმოსავლეთიდან, 2015წ.



საპროექტო ტერიტორია რკინიგზის გასასვლელიდან, ჩრდილოეთიდან, 2015წ.

დასკვნა და რეკომენდაციები

ჩვენი კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა საპროექტო ნაგებობის არქიტექტურული ღირებულება, განაშენიანების ხასიათი, მისი ქრონოლოგიური განვითარება, ქუჩათა ქსელის ჩამოყალიბების და ლანდშაფტის ათვისების თავისებურებები. ასევე მოცულობითი აქცენტების მასშტაბური დამოკიდებულება ძირითად განაშენიანებასთან და ქალაქის ლანდშაფტთან, განაშენიანების ფუნქციური შემდგენლობა და სამშენებლო მასალა და ტექნიკა. ყოველივე ეს წარმოადგენს ამ ისტორიული უბნის ზოგად არქიტექტურულ-სივრცობრივ სახეს.

1. უბნის განაშენიანება ჩამოყალიბდა აქ არსებული სოფ. ჩუღურეთის სტრუქტურის ბაზაზე XIX ს-ის მეორე ნახევარში. განაშენიანების სახე ზოგადად დამახასიათებელი თბილისის ამგვარი რელიეფის განაშენიანებისა. ფერდობის ქვედა ნაწილში ქუჩების ქსელი და განაშენიანება მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია, ზევით კი ქსელი ამორფულია, განაშენიანება კი – მეჩხერი. აქ ძირითადად საცხოვრებელი სახლებია, საზოგადოებრივი ნაგებობები უბნის მხოლოდ ქვედა ნაწილშია განლაგებული;

2. ნაგებობათა დიდი ნაწილი არაღირებულია და ქუჩების განაშენიანება დეგრადირებულია გვიანდელი, უსახო მცირე მოცულობებით. თუმცა ძირითადად უბნის ქვედა ნაწილში გვხვდება საინტერესო ნაგებობებიც, რომელთა შორის რამდენიმე აღრიცხულია არქიტექტურულ ძეგლად. ეს ნაგებობები განსაზღვრავს ამ უბნის მხატვრულ-ისტორიულ სახეს. აქ ძირითადად პერიმეტრული განაშენიანებაა და შენარჩუნებულია შიდა ეზოთა სტრუქტურები;

3. განაშენიანება უბნის ამ ნაწილში ორ-სამსართულიანია, გვხვდება მხოლოდ რამდენიმე ოთხსართულიანი ნაგებობა. სანაპიროსკენ კი ორი რვასართულიანი საცხოვრებელი კორპუსი დგას, რომლებიც შეუსაბამოა ამ უბნის მხატვრულ-არქიტექტურული სახისთვის;

4. ჩვენთვის საინტერესო მიკრო უბანი, რომელიც უბნის ზედა ნაწილში მდებარეობს, ჩამოყალიბდა XXს-ის დასაწყისში და აქ წარმოიქმნა რთულ რელიეფზე მორგებული განაშენიანება. აქაც შენარჩუნებულია შიდა ეზოთა სტრუქტურები, რომელთაც უფრო საკარმიდამო განაშენიანების სახე აქვთ ვიდრე ურბანული;

5. განაშენიანება აქ მეჩხერია, ძირითადად ერთ-ორსართულიანია. შენობები ფლეთილი ქვით და აგურითაა ნაგები და ერთმანეთს ენაცვლება შეულესავი ფასადების აგურის წყობა და ნალესობაში გამოყვანილი ფასადები;

6. საპროექტო ობიექტი ამჟამად აღარ არსებობს. იგი აღებულია 2015 წლის სექტემბერში. მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით იგი წარმოადგენდა უსტატუსო, ორასართულიან საცხოვრებელ სახლს;

7. უსტატუსოა მის ირგვლივ მდებარე ნაგებობები. თუმცა გააჩნიათ ფონური ღირებულების სტრუქტურა და მხატვრული სახე. ნაგებობები კარგად არის რელიეფთან მორგებული თბილისის ანალოგიურ რთულ რელიეფზე განვითარებულ სტრუქტურათა მსგავსად.

ამ დასკვნებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- სახლი უკვე დანგრეულია და ამ საკითხს აღარ განვიხილავთ;

- ამასთან, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ შენობას შესაძლოა არ ჰქონდეს მხატვრული ღირებულება (ისევე როგორც ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში), თუმცა მთლიანობაში, სხვა ნაგებობებთან და ბუნებრივ ლანდშაფტთან ურთიერთკავშირში, ისინი ქმნიან ძველი თბილისისთვის დამახასიათებელ ურბანულ კომპოზიციებს. ამგვარი ნაგებობები ხშირად ასრულებენ ამ ბუნებრივ-არქიტექტურული კომპოზიციების შემადგენელი ჯაჭვის აუცილებელი რგოლების ფუნქციას;

- ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ნაგებობის ნაცვლად ახალი შენობის აგება შესაძლებელია და სასურველიცაა, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- თბილისის რელიეფის არაერთგვაროვნობიდან გამომდინარე, ბუნებრივი ტერასების სიმაღლეთა მონაცვლეობის გამო, მნიშვნელოვნად იზრდება ხედვის აღქმის მანძილები. ამიტომ ესა თუ ის უბანი და შენობების ჯგუფები აუცილებელია განვიხილოთ არა მარტო მათი ლოკალურ-კომპოზიციური გადაწყვეტიდან გამომდინარე, არამედ მათი როლით მთლიანად ქალაქის სილუეტში, როდესაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს გარემოებები სპეციფიურ თვისებებს იძენენ. ამასთან ლანდშაფტური და მხატვრულ-არქიტექტურული მოცულობები ერთიანობაში წარმოგვიდგება;

- ამიტომ, აქ გასათვალისწინებელია, რომ ეს ადგილი ჩანს შორიდან და აქ პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისით, ახალმშენებლობის წარმოების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს უბნის განაშენიანების ზოგადი სახე და მასშტაბი. არ არის სასურველი არსებულ ნაგებობებზე მოზრდილი მოცულობის დაპროექტება. ასევე აქ ახალი განაშენიანების დაპროექტებისას აუცილებლად არის გასათვალისწინებელი მიმდებარე ტერიტორიის პერსპექტიული განვითარებაც;

- ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძველი ქალაქის გეგმარებით და სივრცობრივ სტრუქტურას და ქუჩების ქსელს. ასევე გარკვეულწილად მნიშვნელოვანია ლანდშაფტის შენარჩუნება. ეს პრინციპი არ უარყოფს განაშენიანების ფართო რეკონსტრუქციას, იქ, სადაც ამგვარი რეკონსტრუქცია არ ეწინააღმდეგება შემორჩენილ ისტორიულ მდგომარეობას და საკანონმდებლო რეგლამენტს. აგრეთვე, სადაც ეს საჭიროა და მიზანაშეწონილია, შენობათა ფუნქციური დანიშნულების შეცვლას;

- შესაძლებელია, განსაზღვრული გამომსახველობითი ინტენსივობის, ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიებაც, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურბანულ მახასიათებლებთან კონტექსტში;

- სასურველია საპროექტო წინადადებები მოცემულ უბანში არსებული და ახლად დაპროექტებული შენობების ფუნქციის, საინჟინრო აღჭურვის და საზოგადოებრივი სივრცის კეთილმოწყობის შესახებ;



უბანი ჩუღურეთი, 2009წ.



- მნიშვნელოვანია ფოტომონტაჟი შორი ხედიდან და სხვადასხვა რაკურსებიდან, ქუჩის საერთო ხედებში ახალი მოცულობების ჩასმით;
- მიწის სამუშაოების ჩატარებისას აუცილებელი უნდა იყოს არქეოლოგიური მეთვალყურეობა;
- სასურველია მიმდებარე ტერიტორიის (რთული რელიეფის) კეთლმოწყობაც;
- გასათვალისწინებელი იქნება ასევე მშენებლობის ხარისხი;

ხელოვნებათმცოდნე – **გია ჭანიშვილი**
18. 10. 2015.